ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5146231

ნომერი: AR1781740

თარიღი : 13.10.2020

გაცემის თარიღი : 16.10.2020

გაცნობის თარიღი : 20.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსმონავტების სანაპირო N91;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჯანიაშვილი პ/ნ 01017033100
- თბილისი ი.გოგებაშვილის I გას. N 25

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 აპრილის №4932467 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 13 ოქტომბერს №AR1781740 განცხადებით მომართა გიორგი ჯანიაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 21

აპრილის №4932467 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 აპრილის №4932467 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, კოსმონავტების სანაპირო №91-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.13.04.017.096), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი №6, I და II ბლოკის) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 17 ივნისის №4986657 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 17 ივნისიდან 2022 წლის 17 აპრილის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 21 აპრილის №4932467 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი: 10333.1 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 10332.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 1950.8 კვ.მ-ის ნაცვლად 2292.0 კვ.მ., საერთო ფართობი 13074.5 კვ.მ-ის ნაცვლად 13414.7 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ– ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 აპრილის №4932467 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 10332.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობი: 2292.0 კვ.მ., საერთო ფართობი: 13414.7 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 აპრილის №4932467 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 აპრილის №4932467 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.